განკარგულება:**g-81.81220201**
თარიღი:**20/01/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება #5

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის № 1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' 63-ე მუხლის შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის № 1 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1

შეთანხმებულ იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით დაშვებული ზღვრული ოდენობის გარდა განისაზღვროს არაუმეტეს 25 ერთეულისა.''.

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი